ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №06

15 თებერვალი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნინო კვიტაიშვილი, სოფიო ჯაფარიძე და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმრები:
1. ლევან მიქავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. მაკა ნასრაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. თინათინ რუხაძე – ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი;
4. გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. ცირა შალოშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილი №12-032204167-03; 10.02.2022);

მომხსენებელი: ლევან მიქავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

მომხსენებელი: თინათინ რუხაძე
თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი;

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, უმრავლესობით მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით განათლებისა და კულტურის მიმართულებით არ ხდება საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემცირება. აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების, საკონცერტო ორკესტრის „ბიგ-ბენდის", ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობის ნაწილში. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ითვალისწინებს კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორს თინათინ რუხაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ სასახლეში განხორციელებული რეფორმებისთვის მადლიერია სასახლის თითოეული თანამშრომელი; რაც შეეხება ეროვნული სასახლის (კოდი 07 06 01) ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობის 62 ერთეულით შემცირების საკითხს, ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში განხორციელდა ცვლილება, რომლის ფარგლებშიც, უპირველესად მოწესრიგდა პედაგოგების დასაქმების საკითხი, კერძოდ შეიქმნა ერთიანი სტანდარტი, რაც გულისხმობს, რომ სამართლებრივად და ორგანიზაციულად მოხდა აღნიშნული საკითხის რეგულირება. იმის გათვალისწინებით, რომ პედაგოგთა ნაწილი დასაქმებული იყო საშტატო პოზიციებზე, ხოლო ნაწილი შრომითი ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა კი შეადგენს 10 თვეს, თითოეული პედაგოგის დასაქმება ხდება ერთიანი სტანდარტით, შრომითი ხელშეკრულების ფორმით და საშუალოდ, ყველა პედაგოგის ანაზღაურება გაიზარდა წლის ჭრილში, რამაც თითოეული თანამშრომლის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

თინათინ რუხაძის მოხსენების შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

კახაბერ ლაბუჩიძემ, ნინო კვიტაიშვილმა, თინათინ ნიბლოშვილმა, მაკა ნასრაშვილმა, ლევან მიქავამ, ცირა შალოშვილმა.

კომისიის წევრი ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა შემდეგი საკითხით: თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებაზე გადაყვანით ხდება თუ არა მათთვის 12 თვის ანაზღაურება, რაზეც თინათინ რუხაძემ უპასუხა, რომ ხელშეკრულებების გაფორმება მოხდა 10 თვის ვადით, თუმცაღა ხელფასების ნაწილში მოხდა ზრდა, კერძოდ 10 თვეში

თანამშრომლები იღებენ უფრო მაღალ ხელფასს, ვიდრე იღებდნენ მთელი წლის განმავლობაში.

ნინო კვიტაიშვილის კითხვა აგრეთვე შეეხებოდა შვებულების მიცემის წესს; იმ პირობებში, როდესაც შრომის კოდექსი ადგენს დასაქმებულისთვის შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოშობის ვადას მუშაობის დაწყებიდან 11 თვის შემდეგ, როგორ ხდება აღნიშნულის რეგულირება 10-თვიანი ხელშეკრულების შემთხვევაში, რაზეც თინათინ რუხაძემ უპასუხა, რომ 10-თვიან შრომით ხელშეკრულებაზე გადასვლით, ეროვნულ სასახლეში დასაქმებული პირები არ კარგავენ ანაზღაურებად შვებულებაზე მოთხოვნის უფლებას. შვებულების მიცემის საკითხთან დაკავშირებით, კახაბერ ლაბუჩიძემ და თინათინ ნიბლოშვილმა დამატებით განმარტეს, რომ დასაქმებულისთვის შვებულების ვადამდე მიცემაც შესაძლებელია დამსაქმებელთან შეთანხმების საფუძველზე და ეს შესაძლებელია ვადის გასვლამდეც მოხდეს, რაც გამომდინარეობს საქართველოს შრომის კოდექსიდან.

ნინო კვიტაიშვილმა აგრეთვე დასვა კითხვა, თუ რომელ კანონმდებლობას ექვემდებარება მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში დასაქმებული პირი, რაზეც მაკა ნასრაშვილმა უპასუხა, რომ ვინაიდან „განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პედაგოგის სტატუსის მატარებლები არ არიან მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დასაქმებული პირები, მათ მიმართ მოქმედებს საქართველოს შრომის კოდექსის ზოგადი ნორმები.

კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა განმარტებით ბარათში მითითებული ჩანაწერი: „62 ერთეულით მცირდება მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (07 06 01) ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა", რაზეც კახაბერ ლაბუჩიძემ განმარტა, რომ მომუშავეთა გარკვეული ნაწილი შტატიდან გადავიდა შრომით ხელშეკრულებაზე, რის საფუძველზეც შეიქმნა ერთიანი სტანდარტი, რაც გულისხმობს, სამართლებრივად და ორგანიზაციულად აღნიშნული საკითხის რეგულირებას.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2022 წლის 1 იანვრისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (74 779,5 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები – 881,3 ათასი ლარით. ასევე იზრდება მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 11 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 86 660,8 ათასი ლარით და შეადგენს 1 392 079,0 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

დასახელება	2022 წლის დამტკიცებული გეგმა	2022 წლის გეგმა თებერვლის ცვლილებით	სხვაობა

შემოსულობები	**1 305 418,2**	**1 317 299,5**	**11 881,3**
შემოსავლები	1 230 318,2	1 242 199,5	11 881,3
არაფინანსური აქტივების კლება	75 000,0	75 000,0	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	100,0	100,0	0
გადასახდელები	**1 305 418,2**	**1 392 079,0**	**86 660,8**
ხარჯები	982 943,0	1 016 615,8	33 672,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	301 844,6	354 832,6	52 988,0
ვალდებულებების კლება	20 630,6	20 630,6	0
ნაშთის ცვლილება	**0**	**74 779,5**	**74 779,5**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 317 299,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 242 199,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

გადასახადები 757 869,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 174 000,0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 20 000,0 ათასი ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი – 547 869,4 ათასი ლარი.

გრანტები 269 886,3 ათასი ლარი, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,3 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი;
- კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 225 000,0 ათასი ლარი;
- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 43 500,0 ათასი ლარი.

შემოსავლები 214 443,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000,0 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 59 000,0 ათასი ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 50 000,0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი - 11 022,3 ათასი ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები – 38 421,5 ათასი ლარი.

- ✓ არაფინანსური აქტივების კლება - 75 000,0 ათასი ლარი.
- ✓ ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) - 100 000,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 392 079,0 ათასი ლარით, მათ შორის:

- ✓ ხარჯები განსაზღვრულია - 1 016 615,8 ათასი ლარი;
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა – 354 832,6 ათასი ლარი;
- ✓ ვალდებულებების კლება – 20 630,6 ათასი ლარი.
- ✓ ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 225 583,7 ათასი ლარით.
- ✓ არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 279 832,6 ათას ლარს, მათ შორის:
- არაფინანსური აქტივების ზრდა – 354 832,6 ათასი ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლება – 75 000,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (74 879,5) ათას ლარს, მათ შორის:

- ფინანსური აქტივების კლება – 74 879,5 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 74 779,5 ათასი ლარი.
- ✓ ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (20 630,6) ათას ლარს, მათ შორის:
- ვალდებულებების კლება 20 630,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 248,9) ათასი ლარით (შემოსავლებს 1 242 199,5-ხარჯები1 016 615,8 -არაფინანსური აქტივების ცვლილება 279 832,6).

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 7 444,3 ათასი ლარი;

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 534,0 ათასი ლარი;

საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) – 1,9 ათასი ლარი;

ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი 08 04 03) – 16,0 ათასი ლარი;

კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 138,2 ათასი ლარი.

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა 26 ერთეულით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, გამოიწვია, თუ არა საშტატო რიცხოვნობის ზრდამ, პიროვნებათა ზრდაც, რაზეც ცირა შალოშვილმა უპასუხა, რომ გაზრდა მოხდა მხოლოდ საშტატო რიცხოვნობის კუთხით, რაც განპირობებულია ნახევარ განაკვეთზე

დასაქმებულთა სრულ გადანაკვეთზე გადაყვანით, თანამშრომელთა მოთხოვნის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	1 (კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი)
თავი შეიკავა	1 (კომისიის წევრი, გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ხმათა უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა